



IBSU

შეთანხმულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
ოქმი №8, 7 ივლისი, 2017 წელი

სამსახურის უფროსი ასოც.პროფ. დიანა მჭედლიშვილი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №20, 26 ივლისი, 2017 წელი
ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფ., დოქტ. ეკატერინე ბაკარაძე

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი №9, 22 აგვისტო, 2017 წელი
რექტორი პროფ., დოქტორი ილიას ჩილოღლი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამართალმცოდნეობა

თბილისი
2017 წელი

მიმართულება: 06 სამართალი

დარგი / სპეციალობა: 0601 სამართალმცოდნეობა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამართალმცოდნეობა (Law)

ფაკულტეტი: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ვახტანგ ზაალიშვილი, ასოცირებული პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებთა კანდიდატი

ტელ.: 596 555 955, ელ. ფოსტა: vzaalishvili@ibsu.edu.ge

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)(მიენიჭება არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში)

კვალიფიკაციის კოდი: 0601

სწავლების ენა: ქართული, ინგლისური კომპონენტებით

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი (სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75-ისა).

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- 194 კრედიტი - სავალდებულო კომპონენტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:
- 174 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის: 10 კრედიტი - პროფესიული პრაქტიკა და /ან 10 კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომი);
- 10 კრედიტი - ინგლისური ენის და/ ან უცხო ენის კომპონენტი
- 5 კრედიტი - ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- 5 კრედიტი - აკადემიური წერა;
- 31 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები შემდეგი მოდულებიდან: სამართლის ისტორიისა და საფუძვლების მოდული (12 კრედიტი), სისხლის სამართლის მოდული (32 კრედიტი), კერძო სამართლის მოდული (40 კრედიტი); საჯარო სამართლის მოდული (39 კრედიტი), საერთაშორისო სამართლის მოდული (12 კრედიტი).
- 15 კრედიტი - თავისუფალი კრედიტები (სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები შხსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან).

- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა მობილობის ან გადმოყვანის წესით (გარე მობილობა) ჩარიცხვა, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე სამართლის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების სოციალური ბუნება, მისი როლი და ადგილი თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში, ასევე კონსტიტუციური, სისხლის, საერთაშორისო, სამოქალაქო და სამართლის სხვა მნიშვნელოვანი დარგების თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. სტუდენტები შეისწავლიან და გაეცნობიან სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების და საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საფუძველს, სახელმწიფო მმართველობის ფორმებს, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთქმედების პრინციპებს, საერთაშორისო სამართალითა და საქართველოს კონსტიტუციით საყოველთაოდ აღიარებულია დამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სახელმწიფომ მართველობის პრინციპებს, მეთოდებს, ორგანოებს, მათსისტემასა და სახეებს, ადმინისტრაციული პროცესის განხორციელების პრაქტიკას; დანაშაულთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულაციას, დანაშაულის კონცეფციას, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებას; ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ასპექტებს, ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების კრიტერიუმებს, საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეწარმეო და შრომითი ურთიერთობების სპეციფიკას; თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს, საერთაშორისო საჯარო, კერძო და სხვა მნიშვნელოვანი დარგების ძირითად დებულებებს. პროგრამის ამოცანაა განუვითაროს სტუდენტებს როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტებისათვის აუცილებელი სამართლებრივი და პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს მათ შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბებასა და პირად წინსვლას;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმობა იურიდიული მეცნიერებების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლას, სამართლებრივი ინსტიტუტების საქმიანობის შესწავლას, საქართველოში მიმდინარე კანონშემოქმედებითი, სამართალგამოყენებითი პრაქტიკისა და სოციალ-ეკონომიკური პროცესების, ისტორიული, სამართლებრივი, ეთიკური და სხვა ასპექტების დეტალურ ანალიზს, ქართული სამართლისა და მოწინავე ქვეყნების სამართლებრივი სისტემების შედარებით ანალიზს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჩამოყალიბდნენ მოაზროვნე სამართალმცოდნეებად და მაღალი რანგის პრაქტიკოს იურისტებად. ამასთან, უნივერსიტეტში არსებობს სამართლის კლინიკა, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის საშუალებით;

- სწავლის პროცესი მომავალ ბაკალავრს საშუალებას მისცემს განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები, ჩატაროს კვლევა და მონაწილეობა მიიღოს სწავლის პროცესში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებების (სემინარები, კონფერენციები, იმიტირებული სასამართლო პროცესები და სხვ.) მიმდინარეობისას გამართულ დებატებში. საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენების დეტალური სამართლებრივი ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი გახდება სტუდენტისთვის სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემის, ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების და კომუნიკაციის უნარების განვითარება, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის ამაღლება ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, ასევე სტუდენტებისთვის ყველა პირობის შექმნა აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის;
- თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს სამართლის დარგის სპეციალისტი, რომელსაც ექნება პროფესიული სფეროს ძირითადი საკითხების კომპლექსური ცოდნა, შეეძლება თეორიული საკითხებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და კონკურენტულ გარემოში საკუთარი ინტელექტუალური რესურსების რეალიზება და განვითარება;
- ისეთი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მომზადება, რომელსაც ექნება სამართლის სფეროს თეორიული ცოდნა და პროფესიული პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საფუძველია პროფესიული განვითარებისათვის, დამატებითი დარგობრივი და მულტიდისციპლინური ცოდნის მიღებისა და გაღრმავებისთვის;
- სტუდენტს ჩამოუყალიბოს აკადემიური პატიოსნება, სამოქალაქო პოზიცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა;
- სტუდენტს გამოუმუშავოს ისეთი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მას წარმატებით დასაქმების, პრაქტიკული მოღვაწეობისთვის მზადყოფნის და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საშუალებას მისცემს, ჩააბაროს შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდები.

სწავლის შედეგი: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავებული აქვს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

სწავლის შედეგების რუკა

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამართლის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; იგი აცნობიერებს სამართლის სფეროში შემავალ კომპლექსურ საკითხებს; ○ ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის ცოდნა. ○ ცოდნა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის-სამართლის არსისა და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ○ როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლის წყაროების შესახებ, მათი იერარქიისა და ურთიერთკავშირის შესახებ ფართო ცოდნა;
-------------------------------------	--

- თანამედროვე მსოფლიოში არსებული სამართლებრივი სისტემების, თითოეულისათვის დამახასიათებელ თავისებურებების შესახებ ცოდნა;
- ქართული სამართლის განვითარების ძირითადი ასპექტების ცოდნა;
- ნორმების განმარტების მეთოდების ცოდნა.

კერძო სამართლის მიმართულებით სტუდენტს აქვს:

- კერძო სამართლის სისტემის, უზოგადესი ცნებების (პირები, ქონება, მოქმედება) და ძირითადი ინსტიტუტების, კერძოსამართლებრივ ნორმათა ურთიერმიმართებისა და მათი გამოყენების წესები, დასავლეთის ქვეყნებისა და ქართული სამოქალაქო სამართლის ძირითადი ცნებების ცოდნა;
- კერძო სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ძირითადი მახასიათებლების, მათი გამოყენების სფეროსა და დანიშნულების, სახელშეკრულებო და კანონისმოიერი ვალდებულებითი ურთიერთობები შესახებ ცოდნა;
- სანივთო უფლებების შინაარსის, მათი წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტი მარეგულირებელი ნორმების ცოდნა;
- ვალდებულების წარმოშობის, აგრეთვე, ვალდებულების შინაარსის, დარღვევის, პირველადი და მეორეული მოთხოვნების სისტემის, შეწყვეტისა მექანიზმების თაობაზე ცოდნა. ხელშეკრულების ტიპების, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ურთიერთობის რეგულირების თაობაზე ცოდნა;
- საოჯახო და მემკვიდრეობითი ურთიერთობების შინაარსის, მათი ფუნდამენტური პრინციპების, საკვანძო ცნებებისა და რეგულირების მექანიზმების თაობაზე ცოდნა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის არსის, სუბიექტების, მათი დამახასიათებელი ნიშნების, შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე მოქმედი პრინციპების ცოდნა;
- ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი ურთიერთობების რეგულირების პრინციპების ცოდნა;
- სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების, საპროცესო სუბიექტების მახასიათებლებისა, საქმის წარმოების თავისებურებების შესახებ ცოდნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში;
- კოლიზიური ნორმების მოქმედების პრინციპების ცოდნა;

საჯარო სამართლის მიმართულებით სტუდენტს აქვს:

- კონსტიტუციური სამართლის არსის, დანიშნულების, წყაროების, ისტორიული განვითარების, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების, საქართველოს სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების შესახებ ცოდნა;
- მსოფლიოში და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებები ცოდნა;
- ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების თავისებურებათა, ადმინისტრაციული წარმოების სახეებისა და პროცესის განხორციელების წესების, საჯარო მოხელეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირების ცოდნა;

	<ul style="list-style-type: none"> ○ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების, საქმის წარმოების თავისებურებების ცოდნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში; <p>სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის და ასევე სისხლის სამართლის მეცნიერების არსი, მისი დანიშნულება და ადგილი იურიდიულ მეცნიერებაში, სისხლის სამართლის ფუნდამენტური ცნებები (დანაშაული, ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი, სასჯელი და სხვ.), სისხლის სამართლის სუბიექტების მახასიათებლები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; ○ დანაშაულთა კლასიფიკაციის საფუძვლები, ცალკეულ დანაშაულთა სახეები; ○ სისხლის სამართლებრივი წარმოების სახეები, მისი პრინციპები, სუბიექტები, სუბიექტთა უფლება-მოვალეობები, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება საქართველოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში; <p>საერთაშორისო სამართლის მიმართულებით სუდენტმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საერთაშორისო საჯარო სამართლის არსი, ისტორიული განვითარების ეტაპები, ფუნქციები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მახასიათებლები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებანი; <p>სამართლის საფუძვლების მიმართულებით სტუდენტმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამართლის არსი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიები, სამართლის ძირითადი პრინციპები, განმარტების მეთოდები, სახელმწიფოთა და მათში მოქმედი სამართლის ტიპები, სამართლის მიმართება სახელმწიფოსთან, რელიგიასთან, ჩვეულებებთან, მორალთან, კულტურასთან; ○ სამართლებრივი კვლევის მეთოდები, საბაკალავრო ნაშრომის შექმნის სპეციფიკა; <p>სამართლის ისტორიის მიმართულებით სტუდენტმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ქართული სამართლის განვითარების ისტორია; <p>ინგლისური ენის მიმართულებით სტუდენტმა აქვს ცოდნა:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინგლისური ენა B2 დონეზე /საერთო ევროპული ჩარჩო-სტანდარტი/ შესაბამისი სიძლიერით ოთხივე ენობრივ კომპონენტში (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა), ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (ინგლისური ენა I, II და III, დარგობრივ ინგლისური ენაში (B1, B1+, B2)).
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს გააჩნია:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების, იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენის უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> ○ მიღებული ცოდნის საფუძველზე, მუშაობის პროცესში პრობლემის დანახვის, პრობლემის არსის განსაზღვრისა და ჩამოყალიბების უნარი; ○ პრობლემის გადაჭრის სამართლებრივად სწორი გზის მოძიების უნარი; პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციის მოძიების, ასევე სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენების უნარი. ○ უნარი, მოახდინოს პრობლემის სამართლის კონკრეტული დარგისადმი მიკუთვნება; ○ უნარი, რამოდენიმე ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში მათი ეფექტიანად შედარების საფუძველზე აირჩიოს უკეთესი ალტერნატივა და არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი არჩევანი; ○ სამართალშემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები (ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, რამოდენიმე დავალების ერთდროულად შესრულების, დაძაბულ სიტუაციაში მუშაობის, კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფი რეაგირებისა და სხვა უნარები).
დასკვნის უნარი	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გადაწყვეტის, თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი. ○ სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებისა და განმარტების, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის უნარი; სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; ○ თავისი კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხებზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	<p>კურსდამთავრებულს გააჩნია:</p> <ul style="list-style-type: none"> • იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენაზე მოძიების, აზრის ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი. • ვერბალური კომუნიკაციის შემდეგი უნარები: <ul style="list-style-type: none"> ○ საკუთარი პოზიციის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი; ○ უნარი, გააკეთოს წერილობით დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის ზეპირი პრეზენტაცია; ○ მოსმენილი ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფის და მათი დამუშავებული სახით ზეპირად გადაცემის უნარი; ○ საქმიანი დისკუსიის წარმართვის, დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი; ○ როგორც დარგის სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის სამართლებრივი სიტუაციის, სამართლებრივი დოკუმენტის შინაარსისა და სამართლებრივი სიტუაციების მათთვის გასაგებად ახსნის უნარი; ○ საუბრისას შესაბამისი სამართლებრივი ტერმინოლოგიის თავისუფლად გამოყენების უნარი; ○ იურიდიული ხასიათის დებატებში, სასამართლო პროცესებში, მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დაცვის უნარი; ○ უნარი, გაწიოს ზეპირი კონსულტაციები იურიდიულ საკითხებზე; • წერილობითი კომუნიკაციის შემდეგი უნარები: <ul style="list-style-type: none"> ○ განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური წერილობითი ანგარიშისა და ანალიტიკური ხასიათის მასალის მომზადების უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური წერის სტანდარტების გამოყენების უნარი; ○ არგუმენტირებული მოსაზრების წერილობითი სახით ჩამოყალიბების უნარი; ○ დიდი მოცულობის მქონე ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფისა და წერილობით ასახვის უნარი; ○ იურიდიული ტერმინოლოგიით შექმნილი ტექსტების თავისუფლად კითხვისა და მათი შინაარსის სრულყოფილად აღქმის უნარი; • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემდეგი უნარები: <ul style="list-style-type: none"> ○ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; ○ დოკუმენტების ელექტრონული სახით შექმნისა და დამუშავების, ამ ფორმით არსებულ დოკუმენტებთან მუშაობის უნარი; ○ ძირითადი სამართლებრივი ბაზების (ონლაინ ჟურნალები, ბიბლიოთეკები, ნორმატიული აქტების შემცველი ვებ-გვერდები და სხვ.) გამოყენების, მათში მუშაობის უნარი.
სწავლის უნარი	<p>კურსდამთავრებულს</p> <ul style="list-style-type: none"> ○ აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეებისათვის თვალყურის მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; ○ სამართლის თითოეულ ქვე-დარგთან მიმართებით, საკუთარი სწავლის პროცესის სისტემატიზების, იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის მუდმივად გაღრმავების უნარი.
ღირებულებები	<p>კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ეთიკურ პრინციპებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. ○ მიისწრაფის ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისაკენ; ○ აღჭურვილია მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნებითა და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით; ○ აცნობიერებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, პატივის სცემს მათ; ○ შესწევს უნარი, გაითვალისწინოს სამართლიანი შენიშვნები და კრიტიკა.

სასწავლო კურსი /პრაქტიკა	კომპეტენციების ჩამონათვალი
---------------------------------	-----------------------------------

	ცოდნადაგაცნობიერება	ცოდნისპრაქტიკაშიგამოყენებისუნარი	დასკვნისუნარი	კომუნიკაციისუნარი	სწავლისუნარი	ღირებულებები
I. სავალდებულო კომპონენტი						
ინგლისური ენა (I, II, III) გერმანული ენა (I, II, III) ფრანგული ენა (I, II, III) თურქული ენა (I, II, III) ესპანური ენა (I, II, III)	X	X		X	X	
ინფორმაციული ტექნოლოგიები	X	X		X	X	
აკადემიური წერა	X	X	X	X		X
კონსტიტუციური სამართალი	X	X	X	X	X	X
საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	X		X	X	X	
სამართლის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	X	X	X	X	X	X
სამოქალაქო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	X
სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X		
ქართული სამართლის ისტორია	X	X	X	X	X	
დარგობრივი ინგლისური ენა (B1)	X	X		X	X	

დარგობრივი ინგლისური ენა (B1+)	X	X		X	X	
დარგობრივი ინგლისური ენა (B2)	X	X		X	X	
მუნიციპალური სამართალი	X	X	X	X	X	X
სანივთო სამართალი	X	X	X	X	X	X
სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი I)	X	X	X	X		
საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	X	X	X	X	X	X
ადმინისტრაციული სამართალი (ზოგადი ნაწილი)	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო საჯარო სამართალი	X	X	X	X		X
სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი II)	X	X	X	X		
ვალდებულებითი სამართალი	X	X	X	X	X	X
სამართლის ფილოსოფია	X	X	X		X	X
სახელშეკრულებო სამართალი	X	X	X	X	X	X
სისხლის სამართლის პროცესი	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო კერძო სამართალი	X	X	X	X	X	X
საქმიანი წერა იურისტებისათვის	X	X		X	X	
სამეწარმეო/საკორპორაციო სამართალი	X	X	X	X	X	X
საგადასახადო სამართალი	X	X	X	X	X	
ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	X	X	X	X	X	X

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	X	X	X	X		
სამოქალაქო სამართლის პროცესი	X	X	X	X	X	X
საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	X	X	X	X	X	X
საპროცესო უნარ-ჩვევები	X	X		X		x
შრომის სამართალი	X	X	X	X	X	X
რომის სამოქალაქო სამართალი	X	X	X	X		
ევროკავშირის სამართალი	X	X		X	X	X
აკადემიური იურიდიული კვლევა და წერიტი მეთყველება	X	X	X	X	X	X
პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X
II. არჩევითი კომპონენტი						
იურიდიული ეთიკა	X	X	X	X	X	X
იურიდიული ფსიქოლოგია	X	X	X	X	X	
სამართლებრივი აზრის ისტორია	X		X		X	
სასჯელაღსრულების სამართალი	X	X	X	X	X	X
სასჯელები სისხლის სამართალში	X	X	X	X	X	X
კრიმინალისტიკა	X	X	X	X	X	X
კრიმინოლოგია	X	X	X	X		

კაზუსის განხილვის მეთოდის სისხლის სამართალში	X	X	X	X		
ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო სამართალი	X	X	X	X		
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	X	X	X	X	X	X
საერთაშორისო სისხლის სამართალი	X	X	X	X		
სანოტარო სამართალი	X	X	X	X		
გაკოტრების სამართალი	X	X	X	X		
ინტელექტუალური და საავტორო უფლებების სამართალი	X	X	X	X	X	X
მედიაცია	X	X	X	X	X	X
დელიქტური ვალდებულების სამართალი	X	X			X	
კაზუსის ამოხსნის ტექნიკა სამოქალაქო სამართალში	X	X	X	X		
სადაზღვევო სამართალი	X	X	X	X		
მედია სამართალი	X	X	X	X	X	X
ხელშეკრულების შედგენა	X	X		X	X	
საარჩევნო სამართალი	X	X	X	X	X	X
ჯანდაცვის სამართალი	X	X	X	X		X
სამოხელეო სამართალი	X	X	X	X		
ფასიანი ქაღალდების სამართალი	X	X	X	X		
განათლების სამართალი	X	X	X	X		

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	X	X	X	X	X	X
ეკოლოგიური სამართალი	X	X	X	X		
ევროპის ქვეყნების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური პრინციპები	X	X	X		X	X
საზღვაო სამართალი	X	X	X	X		X
დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	X	X	X	X	X	
საფინანსო და საბანკო სამართალი	X	X	X	X	X	
ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი	X	X	X	X		
ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი	X	X	X	X	X	X
შესავალი საერთაშორისო ტერორიზმში	X	X		X	X	
დებატებისა და საჯარო გამოსვლების ტექნიკა იურისტებისთვის	X	X		X	X	
რეპეტიტორიუმი სისხლის სამართალში	X	X		X	X	
რეპეტიტორიუმი სამოქალაქო სამართალში	X	X		X	X	
რეპეტიტორიუმი ადმინისტრაციულ სამართალში	X	X		X	X	
დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები	X	X	X	X	X	

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ დაპრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას (იმიტირებული სასამართლო პროცესები, სამართლებრივი კაზუსები, სიმულაცია), პრაქტიკოს იურისტთა მასტერკლასებს, იურიდიულ კლინიკას.

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- **არგუმენტების კლასიფიცირება (classifying arguments)** – არგუმენტების კლასიფიცირება სასამართლო პრაქტიკის შესწავლის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ამ აქტივობის პროცესში, სტუდენტები შეისწავლიან შემთხვევებს, შემდეგ კი გადაეცემათ არგუმენტების სია. ეს სია

აუცილებლად უნდა შეიცავდეს ორივე მხარის არგუმენტებს. სტუდენტები კითხულობენ დააფასებენ თითოეულ არგუმენტს, შემდეგ კი იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი მხარი სმიერ არის წარმოდგენილი არგუმენტები - მოსარჩელის თუ მოპასუხის. ეს აქტივობა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს, რომლითაც სტუდენტები ეცნობიან უზენაესი სასამართლოს საქმეებზე არსებულ არგუმენტებს. ერთიმხრივ, სტუდენტებს აქვთ მთავარი არგუმენტები, მეორე მხრივ კი მათ შეუძლიათ აღმოაჩინონ საკუთარი არგუმენტები უკანა პლანზე არსებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ;

- **ახსნა-განმარტების მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორი და სტუდენტები დეტალურად მსჯელობენ ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით. ამ მეთოდს აქვს ორმაგი ეფექტი - სტუდენტებს განმარტებათ კომპლექსური საკითხები, ხოლო ლექტორს ეძლევა შესაძლებლობა გადაამოწმოს, რამდენად მიიღწევა საკითხების სრული გაცნობიერება;
- **გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება** – ეხმარება სტუდენტს მოერგოს პროფესიულ როლს და გაითავისოს იგი. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს პრობლემის გადაჭრის უნარებს; ეხმარება კომუნიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში; ასევე იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა ისწავლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება პასუხობს სტუდენტის რეალურ მოთხოვნილებებსა და ინტერესს.
- **ღებატები** – სავარჯიშო სტუდენტებისთვის, რომელიც მათ უვითარებს არგუმენტების შედგენის, დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოყენების და აღნიშნულის ზეპირი ფორმით დამაჯერებლად გადმოცემის უნარს. სტუდენტი იძენს სტრესთან და ეჭვებთან გამკლავების გამოცდილებას მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე მხარე მის პოზიციას მკაცრად აკრიტიკებს. ასეთი გამოცდილება სტუდენტებს ეხმარება ისწავლონ აღნიშნულ სიტუაციებთან გამკლავება და აიმაღლონ თავდაჯერებულობა. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება ივარჯიშონ და გაიუმჯობესონ საჯარო გამოსვლის და რიტორიკის უნარები.
- **დემონსტრირების მეთოდი** - სწავლების მეთოდი, რომელიც ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **დიალოგი სოკრატეს მეთოდით** - სოკრატეს მეთოდი წინასწარ შექმნილი ან არასწორად გაგებული სასამართლო გადაწყვეტილებების გამოკვლევის მიზნით ეხმარება სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარი. სამართლის სტუდენტებთან პროდუქტიულია სოკრატეს დიალოგის შემდეგი ტიპების გამოყენება: ცოდნა, ანალოგია-შედარება და კრიტიკული აზროვნება. ა) ცოდნა - აღნიშნული ტიპის დიალოგის ჩატარების წესი მოიცავს ცოდნის კონცეფციის იდენტიფიცირებას, რომელიც ლექტორს სურს, რომ სტუდენტმა გაიგოს იმ კითხვების მეშვეობით, რომელიც სტუდენტებს მიიყვანს ამ ცოდნამდე. ბ) ანალოგია - წინასწარ შეირჩევა კაზუსი, შესაბამისი კითხვებით, რომლის ფაქტებიც შესაძლებელი იქნება შეიცვალოს მათი განხილვის დროს. სწორად დასმულ კითხვებს სტუდენტები მიჰყავთ დასკვნებამდე. გ) კრიტიკული აზროვნება - აღნიშნული სოკრატეს მეთოდი იყენებს კითხვებს იმისათვის, რომ შეამოწმოს სტუდენტთა ღირებულებები, პრინციპები. აქცენტი კეთდება აზროვნებაზე იდეების მიღმა, და არა იდეების ცოდნაზე. მოითხოვს საკლასო გარემოს, რომელსაც ახასიათებს ე.წ. „პროდუქტიული დისკომფორტი“ და უფრო მეტად გამოიყენება იმისთვის, რომ წარმოჩენილ იქნას სირთულე, კომპლექსურობა და გაურკვევლობა, ვიდრე ფაქტების გამოვლენაზე.
- **დისკუსია/ღებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესში სტუდენტებს უვითარდებათ არგუმენტების წარმოდგენის და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი. ამასთანავე, დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კრიტიკული კომენტარების და შენიშვნების მიღების, აგრეთვე სტრესულ სიტუაციაში მათზე რეაგირების უნარს.

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ეს მათ ეხმარება სასწავლო კურსისთვის საჭირო თეორიული საფუძვლების ფორმირებაში.
- **თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება** - სწავლების ისეთი სტრატეგია, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **იმიტირებული სასამართლო პროცესი** - იმიტირებული სასამართლო პროცესი წარმოადგენს როლურ თამაშს, რომელიც გულისხმობს სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს განხილვებს. სასამართლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობით განიხილავს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოწმეებს არ იძახებენ. ძირითადი ფაქტებიც არ არის სადავო. არგუმენტები მომზადებულია და წარმოდგენილი სასამართლო კომპეტენციაშიშემავალსაკითხებთანდაკავშირებით(მაგ: რომელიმე კანონის კონსტიტუციურობა). მვინაიდან იმიტირებული სასამართლო პროცესები არ არის დამყარებული მხოლოდ მოწმის სანდოობაზე, ისინი წარმოადგენენ ეფექტურ სტრატეგიას სტუდენტების ყურადღების ფოკუსირებისათვის სამართლის ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებზე.
- **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** – ინდუქციური მეთოდი გულისხმობს კერძო მაგალითებზე დაყრდნობით ინფორმაციის განზოგადების პროცესს, ხოლო დედუქცია ზოგად ინფორმაციაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შექმნას უწყობს ხელს - მსჯელობა მიმდინარეობს ზოგადიდან კერძო მიმართულებით. ანალიზი გვეხმარება მთლიანი მასალა დავყოთ შემადგენელ ნაწილებად, რაც ამარტივებს საკითხის ირგვლივ ცალკეული დეტალების განხილვის პროცესს. მეორეს მხრივ, სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების ერთ მთლიან საკითხად გაერთიანებას. აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს ეხმარება პრობლემა მთლიანობაში აღიქვან.
- **ინტერაქტიული ლექციები** – ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სალექციო თემის შესახებ დისკუსიაში. მცირე ჯგუფებში ან წყვილებში ამ მეთოდის გამოყენებით, ლექტორი ხვდება, რამდენად ესმით სტუდენტებს აღნიშნული თემა, სანამ მოხდება აუდიტორიისთვის მისი დაწვრილებით ახსნა. ლექციები უფრო ინტერაქტიული ხდება, თუ სტუდენტებს შევეკითხებით საკუთარი გამოცდილების შესახებ, რაც თემასთან უნდა იყოს კავშირში. სტუდენტებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ კონკრეტული შემთხვევები, დაკვირვებები, ასახსნელ თემასთან მიმართებაში. ამასთანავე, თანაგუნდელები ხელს უწყობენ სხვებს თხრობის დროს, როდესაც არსებობს დამატებითი ხელშეწყობის საჭიროება. აღნიშნული ქმნის თავისუფალ და მეგობრულ გარემოს სწავლებისათვის.
- **კაზუსის მომზადება:** კაზუსი არის ლექტორის მიერ დასმული სამართლებრივი პრობლემა, რომელიც საჭიროებს გადაჭრას. ამ დროს სტუდენტები წარმოიდგენენ, რომ ქმნიან დეტექტიურ ისტორიას. კაზუსის მომზადებას იწყებენ იმ პრობლემათა ჩამონათვალთ, რომელთა განხილვაც მათ სურთ კაზუსის მეშვეობით. სასურველია კაზუსი შეიცავდეს: შესავალს; ფაქტების და წინაისტორიის აღწერას; გამოსაყენებელ სამართლის ნორმებს; სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაჭრაც უნდა მოხდეს.
- **კონტინუუმი (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა)**- კონტინუუმში არის მეთოდი, რომლის მიზანია წახალისოს სტუდენტები საკამათო საკითხების ირგვლივ საკუთარი აზრის გამოხატვაში. მეთოდი ძალიან სასარგებლოა ლექციამდე და ლექციის შემდეგ მიღებული ცოდნის შესაფასებლად. ვინაიდან ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აქტივობას, როგორც წესი, იგი ხელს უწყობს ყველაზე წყნარი სტუდენტების აქტიურად ჩართვასაც.
- **კრიტიკული აზროვნება** – სოკრატეს მეთოდი, რომელიც იყენებს შეკითხვებს სტუდენტების ღირებულებების და პრინციპების შესაფასებლად. ხაზგასმულია არა ცოდნა, არამედ აზროვნების უნარი. ამ მეთოდისთვის საჭიროა აუდიტორიაში იყოს ისეთი გარემო, რომელსაც უწოდებენ „პროდუქტიულ დისკომფორტს“ და იყენებენ იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას სირთულეებს, კომპლექსურობას და გაუგებრობას, და არა წმინდა ფაქტებს.

- **მაგალითების შესწავლა:** სამართლებრივი საკითხების სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას კანონი რეალურ საქმეებსა და სიტუაციებს მიუსადაგონ. მაგალითები წინასწარ უნდა იყოს შედგენილი და სწავლების მიზანს მორგებული. სასურველია, მეთოდი გაერთიანდეს სხვა ისეთ მეთოდებთან, როგორც არის დისკუსია მცირე ჯგუფებში, როლური თამაშები, აზრთა/იდეების გაცვლა და სხვა.
- **პირდაპირი სწავლება (ლექცია), სადაც გამოყენებული იქნება:** *სტრუქტურირებული პრაქტიკა* (ლექტორის მიერ პრობლემის ან ამოცანის ნაბიჯ-ნაბიჯ ანალიზი სტუდენტებთან ერთად); *მიზანმიმართული პრაქტიკა* (სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი მუშაობა და ლექტორის მხრიდან მათი სამუშაოს კონტროლი); *დამოუკიდებელი პრაქტიკა* (სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორთან უშუალო კავშირის გარეშე და დავალების წარდგენა სემინარზე).
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL)** – ეს მეთოდი პრობლემას იყენებს, როგორც ცოდნის მოპოვების პირველწყაროს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფორმირებას. სტუდენტები მუშაობენ ინდივიდუალურად ან მუშაობენ წყვილებად ან ჯგუფებად (ერთობლივი-თანამშრომლობითი მუშაობა) პრაქტიკული დავალებების ამოსახსნელად.
- **პროექტის შემუშავება/პრეზენტაცია** - პროექტზე მუშაობა პროფესორის კონსულტაციებით და ხელმძღვანელობით ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მეცნიერული დიალოგის წარმართვას გარკვეულ ისტორიულ თემებზე / საკითხებზე / პრობლემებზე სააუდიტორიო ფორმატში. შემდგომ, სტუდენტები ინდივიდუალურად (ან თანაგუნდელებთან ერთად) ამზადებენ პრობლემაზე-ორიენტირებულ საკითხს და ახდენენ მის საჯარო პრეზენტაციას.
- **როლური თამაში** - სპონტანური, კრეატიული და რეალურთან მიახლოებული სწავლების სტრატეგია, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. როლური თამაში არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი აძლევს მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისხმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას და რეალურ სიტუაციასთან მიახლოებას. როლური თამაშები კარგად გამოიყენება იურიდიული განათლების კონტექსტში, სადაც სასამართლოს საქმიანობის წარმოსახვას ითვალისწინებს. სტუდენტებისთვის უჩვეულო როლში ყოფნა მათ აძლევთ საშუალებას სიტუაცია დაინახონ სხვა პერსპექტივიდან. როლური თამაშისაინტერესოაკრიტიკულიაზროვნების, გადაწყვეტილებისმიღებისადამტკიცებისუნარებისგანვითარებისათვის.
- **კანონშემოქმედებითი სიმულაცია** - ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ საკითხზე, რომლის საკანონმდებლო მოსმენა შესაძლებელია ქალაქის საბჭოსა თუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. მნიშვნელოვანია, სტუდენტების ნაწილი წარმოადგენდეს კანონმდებელს, ხოლო მეორე ნაწილი მოსახლეობას ან დაინტერესებულ ჯგუფს. სტუდენტები გაყოფილნი იქნებიან შემდეგ როლებზე: ა) კანონმდებლები ან კომიტეტის წევრები - საშუალოდ 5-9 კანონმდებელი, მაგრამ ეს რიცხვი შეიძლება შეიცვალოს სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. ერთი კანონმდებელი დაინიშნება კომიტეტის თავმჯდომარედ. ბ) მოწმეები - მოწმეები რაოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე. მოწმეებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ განსხვავებული შეხედულებები.
- **საკლასო სიმულაციები სამართლის სწავლებისთვის** - მოიცავს შემდეგს: სასამართლო განხილვები, იმიტირებული პროცესები; დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები: მედიაცია, არბიტრაჟი, მოლაპარაკებები. კლიენტის გამოკითხვა და კლიენტის კონსულტირება; კანონის მიღების პროცესი; საპარლამენტო დებატები; საკანონმდებლო საქმიანობა (კანონის მომზადების პროცესი). საკლასო სიმულაციის ეტაპები: იმ საგანმანათლებლო მიზნის განსაზღვრა, რომელსაც ემსახურება სიმულაცია; შესაბამისი კაზუსის მომზადება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სიმულაციას; სიმულაციის გათამაშება; სიმულაციის შეფასება; სიმულაციის გადამუშავება.
სალექციო მეთოდი - ლექცია წარმოადგენს ლექტორის მხრიდან საკითხის ზეპირ პრეზენტაციას. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას, რაც მოიცავს მოცემულ თემასთან დაკავშირებულ პრინციპებს, ცნებებს, იდეებს და მთლიან თეორიულ ცოდნას. ლექციის განმავლობაში, ლექტორი ხსნის და განმარტავს იმ ინფორმაციას, რომლის ცოდნაც სტუდენტებს მოეთხოვებათ.

- **სასამართლო პრაქტიკის შესწავლა** - სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოითხოვს სტუდენტებისაგან პრობლემური სიტუაციების გაანალიზებას და დასკვნების გამოტანას შესაბამის გადაწყვეტილებებში. არსებობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სხვადასხვა ფორმა: სასამართლო პრეცედენტებზე დაფუძნებული სამართლებრივი საქმეები; სავარაუდო სიტუაციები, რომლებიც მოიცავს დავების ან რაიმე დილემის გადაწყვეტას; ასევე რეალურ სიტუაციებს ჟურნალ-გაზეთებიდან, წიგნებიდან ან სხვა რესურსებიდან. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ძირითადად დაფუძნებულია წერილობით ფორმაზე, ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს აუდიოვიზუალური საშუალებებით, როგორცაა ფილმის ყურება და აუდიო ჩანაწერის მოსმენა. პრაქტიკა ძირითადად მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ფაქტების აღწერას; პრობლემების გადაწყვეტას; არგუმენტებზე და განსხვავებულ პრობლემებზე მითითებას; გადაწყვეტილებას ან შედეგს წარმოდგენილ საქმეზე; მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – ეს მეთოდი მოითხოვს ლექტორებისა და სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **შემთხვევის/სიტუაციის ანალიზი (Case study)** - ეს მეთოდი გულისხმობს, რომ სტუდენტებმა გაანალიზონ პრობლემური სიტუაცია და გააკეთონ საბოლოო დასკვნა. ის შეიძლება ეხებოდეს რეალური ცხოვრების მაგალითებს - რომლებიც აღებულია ჟურნალებიდან, გაზეთებიდან, წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან. შემთხვევა უმეტესად მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ფაქტების აღწერას და საკითხის დებულებას ან პრობლემას, რომელიც სიტუაციამ გამოიწვია. საბოლოოდ ხდება პრობლემური საკითხის გადაწყვეტა და შედეგის გაანალიზება.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** – ეს მეთოდი უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო ცოდნის მიღებას შესაბამისი ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით, ხელს უწყობს ცნობიერების ფორმირებას, რაც სტუდენტებს დაეხმარება დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას.
- **ჯგუფური/ერთობლივი (Collaborative) მუშაობა** - ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სხვადასხვა ტიპის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხებს და პარალელურად უზიარებენ შედეგებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანებიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების პრინციპები:

გამჭვირვალობა - შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პირისათვის. სტუდენტს ყოველი აკადემიური სემესტრის დაწყებისთანავე ეცნობება, თუ როდის და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა;

სისტემატიური ხასიათი – შეფასება არ წარმოადგენს ცალკეულ ქმედებას. ეს არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის მუდმივ მზაობას გამოავლინოს მისი ცოდნა და უნარები, ხოლო ლექტორს ეხმარება დააკვირდეს სტუდენტის მიერ ცოდნის მიღების და განვითარების პროცესს;

სამართლიანობა - სტუდენტის სწავლების შეფასების სტანდარტული მიდგომა.

შეფასების ფორმატი და მეთოდოლოგია:

შეფასების სისტემა (შეფასების ფორმატი, მეთოდოლოგია და თითოეული კომპონენტისათვის მინიჭებული ქულა) გაწერილია შესაბამის სილაბუსში და სტუდენტებს ეცნობებათ სემესტრის დასაწყისში.

შუალედური, დასკვნითი, საპატიო და აღდგენითი გამოცდები ჩატარდება წერილობითი, ზეპირი ან შერეული ფორმატით.

ზეპირი გამოცდები ტარდება კომისიის თანდასწრებით, რომელიც შედგება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დანიშნული სამი წევრისაგან. კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორი და ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორები, რომლებსაც მოპოვებული აქვთ ხარისხი იმავე/მომიჯნავე სფეროში. ზეპირი გამოცდა ტარდება სასწავლო კურსის სწავლების ენაზე. კომისიის წევრები სტუდენტს ინდივიდუალურად აფასებენ, შესაბამის სილაბუსებში მითითებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. საბოლოო შეფასება აისახება ოქმში (უნდა მიეთითოს საშუალო შეფასება). შეფასების დოკუმენტაცია და ოქმი შეინახება არქივში ისევე, როგორც საგამოცდო ნაშრომები.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

შეფასებათა მინიმალური კომპეტენციის ზღვრები

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

საპატიო (შუალედური/დასკვნითი) გამოცდები

თუ სტუდენტი ვერ დაესწრება გამოცდას (შუალედურს ან დასკვნითს), მას უფლება აქვს ისარგებლოს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით, შხსუ-ს აკადემიურ კალენდარში მითითებული პერიოდის განმავლობაში.

სტუდენტებმა უნდა დაასაბუთონ გამოცდის გაცდენის მიზეზი ფაკულტეტზე შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით შუალედური გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

საპატიო გამოცდაზე მიღებული ქულა ჩაითვლება შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულად. აღდგენითი ან საპატიო გამოცდების გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვეღარ ისარგებლებს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით.

დამატებითი გამოცდა

სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი გამოცდით, თუ:

ა) სტუდენტის საერთო შეფასება (შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი) არის 41-50 ქულა;

ბ) სტუდენტის საერთო შეფასება (შუალედურ და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამი) არის მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ დასკვნითი შეფასებისას ვერ გადალახა ამ ეტაპისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპენტენციის ზღვარი

შეფასების ფორმატია:

- შუალედური გამოცდა;
- აქტიურობა სემინარებზე / ჯგუფური მუშაობისას;
- პრეზენტაცია;
- საშინაო დავალება;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულება;
- მომზადებული მასალის წარდგენა;
- რეფერატი;
- ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა;
- კლინიკური/სტაჟირების კომპონენტის შესრულება;
- დასკვნითი გამოცდა (წერიტი ან ზეპირი ფორმით).

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი გადანაწილებულია 4 აკადემიური წლის, 8 სემესტრის განმავლობაში, თითოეულ სემესტრში 30-35 კრედიტის ოდენობით. კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ., რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო, ისე და მოუკიდებელ მუშაობას. სტუდენტს ეძლევა საშუალება საფუძვლიანად შეისწავლოს ინგლისური ენა. სტუდენტების ჯგუფებად დაკომპლექტება მოხდება შესაბამისი დონის მიხედვით.

შხსუ-ს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს უტარდება საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში (B1) (ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც აქვთ ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS) ამ შემთხვევაში სტუდენტი 10 სავალდებულო კრედიტის დაგროვებას

უცხო ენის კომპონენტში ახორციელებს სხვა ენების შესწავლის ხარჯზე, რომლებიც შეთავაზებულია პროგრამის ფარგლებში. ის სტუდენტები, ვინც იწყებს დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლას, გადანაწილდებიან შესაბამის ჯგუფებში კომპეტენციის დონეების მიხედვით (B1 ან B1+), რომელიც დგინდება სპეციალური შიდასაფაკულტეტო ტესტის მეშვეობით.

მეექვსე სემესტრიდან გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა შხსუ-ს სამართლის კლინიკაში ან შესაბამის ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები. მერვე სემესტრში სტუდენტი ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს (ამ კომპონენტის არჩევის შემთხვევაში). თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურიდან 15 კრედიტის ოდენობით.

დასაქმების სფერო:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნებათ შესაბამისი სპეციალობით გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, მათ შორის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება დასაქმდეს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში; შესაბამის კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, არასახელმწიფო (არასამთავრობო ორგანიზაციები) სტრუქტურებში, კერძო საადვოკატო ბიუროებში. ისინი შეიძლება დასაქმდნენ ყველა იმ ორგანოში, სადაც არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა სტუდენტები და სასწავლო პერსონალი უზრუნველყოს უმაღლესი სტანდარტის მატერიალურ რესურსთა ბაზით, რომელიც ხელს შეუწყობს ნაყოფიერი საგანმანათლებლო პროცესისათვის მოქნილი და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას და პროგრესულ აკადემიურ საქმიანობას, კერძოდ:

- აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო ინსტრუმენტების ძირითადი ნაკრებით;
- სხვადასხვა მოცულობის საკონფერენციო დარბაზები გამოიყენება ლექციების ჩასატარებლად და აგრეთვე სხვა კლასგარეშე აქტივობებისთვის: საჯარო ლექციების, კონფერენციების, სიმულაციების და სამუშაო შეხვედრების მოსაწყობად.
- სტუდენტთა მონაცემთა ბაზა (SIS) თითოეული სტუდენტისათვის მოიცავს ინდივიდუალურ გვერდს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს დარეგისტრირდნენ, აირჩიონ სასწავლო კურსები, ჰქონდეთ წვდომა ნიშნების ფურცელზე, შეუკვეთონ სხვადასხვა სახის სერტიფიკატები და მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროცესის შეფასებაში;
- სტუდენტების პორტალი - სმარტი წარმოადგენს ლექტორსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის ფორმალურ ინსტრუმენტს, სადაც ხელმისაწვდომია სასწავლო მასალები, ხდება სტუდენტების ინფორმირება სასწავლო განრიგში შეტანილი ცვლილებების შესახებ, და სხვ.;
- საკაბელო ინტერნეტი კომპიუტერულ ლაბორატორიაში (ბიბლიოთეკა) და აგრეთვე უფასო Wi-Fi სტუდენტებისა და სასწავლო პერსონალისათვის;
- ბიბლიოთეკის რესურსები და შესაბამისი აღჭურვილობა განათლების საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტთან წვდომით (Wi-Fi და საკაბელო), წიგნების

მდიდარი არჩევანით, ჟურნალებით და აგრეთვე ელექტრონული კატალოგით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად მოიძიონ მათთვის სასურველი რესურსები (23 000 დასახელების); სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში (ბეჭდური ან ელექტრონული სახით);

- EBSCO საძიებო სისტემა (ხელმისაწვდომია შიდა ქსელის მეშვეობით როგორც სტუდენტების, ასევე სასწავლო პერსონალისათვის);
- უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად განკუთვნილი კაბინეტი;
- იურიდიული კლინიკის კაბინეტები;
- უნივერსიტეტის კამპუსში ხელმისაწვდომი სხვა რესურსები;
- იმ ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებთანაც უნივერსიტეტს/ფაკულტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ: პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამაში მონაწილე პერსონალის რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომია შხსუ-ს კანცელარიაში.